ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 160

"10" ივნისი 2016 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კილომეტრზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ №01.72.14.013.606; №01.72.14.013.607) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" მე-40 მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 10 მარტის №12 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 31 მაისის №04/9918 წერილის (AR1382797) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კილომეტრზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ №01.72.14.013.606; №01.72.14.013.607;) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1382797 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №ი).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი


1:500
N
01.72.14.013.607
01.72.14.013.606
01.72.14.013.605
ᲫᲚᲑ
ᲫᲚᲑ
ᲫᲚᲑ